**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №51**

20.12.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ვიტალი ონიანი - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე- კომისიის წევრი;
6. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434554-03; 10.12.2024);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243513-03; 16.12.2024);

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434869-03; 13.12.2024).

**მომხსენებელი:**

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**შ.ოგბაიძემ** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434554-03; 10.12.2024):**

**გ.თალაკვაძე** - პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823, 3 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 685 915,7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 246 495,3 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 263 120,9 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47 491,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 165 575,2 ათასი ლარი;
- განათლება - 261 539,9 ათასი ლარი;

- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 39 294,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 15 779,2 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 254 887,0 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 178,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 708 254,7 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 194 923,3 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან (1 746 308,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით. მათ შორის: გადასახადები 987 349,2 ათასი ლარი. გრანტები 594 174,6 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 5 264,7 ათასი ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე), ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 80 000, 0 ათასი ლარით მეტია. სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენს - 13 300,0 ათასი ლარს (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 300,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 500,0 ათასი ლარი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 321 654,2 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 983 178,0 ათას ლარს. მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 571 754,3 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 149 075,7 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 191 493,2 ათასი ლარი, პროცენტი 40 340,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 725 222,7 ათასი ლარი, გრანტები 1 434,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 155 645,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 308 542,4 ათასი ლარით.

2025 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 44 455,3 ათას ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02) განსაზღვრულია 530,059.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 38,157.2 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა. პროექტის თანახმად, 2025 წელს იგეგმება შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების 17 ობიექტის მოწყობა; ქვეპროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობას. 2025 წელს განხორციელდება მგზავრთა 100 ცალი მოსაცდელის მოწყობა და მოვლა-შენახვა ექსპლუატაცია; ამასთანავე, ქვეპროგრამის მიზანია დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება; საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება. 2025 წელს დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილ იქნება 150 000 კვ.მ ჰორიზონტალური და ვერტიკალური საგზაო მონიშვნები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს თბილისის მასშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟებას; ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია პარკირების სისტემის მოწესრიგება, მათ შორის, სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა და სპეციალური დაცული სადგომის №1-ის (ქ.თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №15) სარდაფის მოწყობა. საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, 18 მეტრიანი ავტობუსებისთვის საჭიროა რიგით მეოთხე ავტობაზის მშენებლობა, შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულია ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03) - 300.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია მეტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შეძენა და კაპიტალური რემონტი. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის მეტროს („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით“ (GrCF2 W1 Tbilisi Metro Modernisation – ID-

52586) გათვალისწინებული 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია) სესხის მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

- თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება (კოდი: 01 02 04) – 145,412.50 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით თბილისის ავტობუსების პარკის განახლება. კერძოდ, 200 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსის შეძენის შედეგად დარჩენილი ვალდებულებების დაფარვა.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05) 346,190.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. საშუალოდ წლის განმავლობაში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილ იქნება - 167 616 372 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) - 152 940 642 მგზავრი, M2 კატეგორიის ავტობუსებით - 84 488 355 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები) - 147 397 მგზავრი, საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) და (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) - 1 918 446 მგზავრი.

- მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (კოდი 10 23) 7,520.0 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. ,,მართვის ცენტრი“ მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. მწვანე დერეფნები, რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის სწრაფი

საავტობუსე სავალი გზების მოწყობასა და ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

- თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 8,096.0 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება მეტროს სადგურების რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) 13,126.3 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) 34,968.1 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს დაგეგმილი კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტებიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის, №4 ავტობაზის მშენებლობის საკითხი. აღნიშნული პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 60,496.0 ათას ლარს და 2025 წლის ბიუჯეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ქვეპროგრამის (კოდი 01 02 01) ფარგლებში 15,797.6 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება. ახალი ავტობაზა განთავსდება თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში 17 ჰა მიწის ნაკვეთზე და მისი მასშტაბებითა და აღჭურვილობით შესაძლებელს გახდის მოძრავი შემადგენლობის სრულყოფილი მიმდინარე და კაპიტალური სერვისების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანი კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტებიდან უნდა აღინიშნოს „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“ (EBRD). პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2023 წლის 17 იანვარს გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში გამოყოფილი იქნა 55,600,000.00 ევრო (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ექვსასი ათასი ევრო). პროექტის შედეგად, განახლდება თბილისის 12 მეტროსადგური. პროექტში გათვალისწინებულია მეტროს სადგურის

ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კერძოდ, დახრილი ლიფტების დაყენება მიწისქვეშა სადგურების შესასვლელებში - გურამიშვილი, სარაჯიშვილი, სადგურის მოედანი 3, სადგურის მოედანი 2, წერეთელი. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში მთაწმინდის რაიონში, განხორციელდება ლაგუნა ვერეს მიმდებარე (გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე) მონაკვეთის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოების პროექტირება-მშენებლობა. პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 4,555.3 ათას ლარს და 2025 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამიდან გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) - 555.3 ათასი ლარით დაფინანსდება. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამგორის რაიონში, მ. გახოკიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 14,521.3 ათას ლარს და და 2025 წლის ბიუჯეტიდან 11,617.0 ათასი ლარით დაფინანსდება.

**შ.ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. ანგარიშის თანახმად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის დაფინანსებამ შეადგინა - 456,261.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (534,458.9 ათასი ლარი) 85%-ია. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის (9 თვე) შესრულების ანგარიშში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენას (456 261,6 ათასი ლარი) 35.1 % უკავია, რაც სხვა პრიორიტეტებთან შედარებით პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ცხადჰყოფს, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება მასშტაბური პროექტები, შედეგად მოსალოდნელია ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, პარკირების სისტემის მოწესრიგება, თბილისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესება, განახლებული-მოწესრიგებული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საავტობუსო ინფრასტრუქტურა, მიწისზედა ტრანსპორტის ნაკადების განტვირთვა, ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434554-03; 10.12.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243513-03; 16.12.2024):**

**დ.ჯაიანი** - მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მინიჭებული აქვს უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, მთავრობის მიერ გამოიცა განკარგულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საბურთალოს რაიონში, ნესტან დარეჯანის და თინათინის ქუჩებზე მოძრავი ავტობუსის ($M_2$ კატეგორია) №422 მარშრუტზე სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაემატა 3 (სამი) ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შესაბამისად, სამუშაო დღეებში არსებული პიკური ინტერვალი 12 წუთიდან შემცირდა 8 წუთამდე, რითაც გაუმჯობესდა მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურება. ასევე, შაბათ დღეს არსებული პიკური ინტერვალი 14 წუთიდან შემცირდა 10 წუთამდე, ხოლო კვირა და უქმე დღეს 14 წუთიდან 12 წუთამდე. ავტობუსის ($M_2$ კატეგორია) №422 მარშრუტზე ცვლილების გათვალისწინებით, დაკორექტირდა მაქსიმალური რაოდენობა და გაიზარდა 2 ერთეულით, ხოლო, ავტობუსის ($M_2$ კატეგორია) №416 მარშრუტს მაქსიმალურ რაოდენობაში დააკლდა 2 ერთეული.

ისნის რაიონში, ვაზისუბნის დასახლებაში, თეოფანე დავითაიას და ემზარ სულაქველიძის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, მოძრაობის მიმართულება შეეცვალათ ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) №№493,519 მარშრუტებს. კერძოდ, მარშრუტები ემზარ სულაქველიძის ქუჩიდან თეოფანე დავითაიას ქუჩისკენ მოძრაობისას, აღარ გააგრძელებენ მოძრაობას მარშალ იოზეფ პილსუდსკის მოედნის მიმართულებით, პირდაპირ გადავლენ თეოფანე დავითაიას ქუჩაზე და იმოძრავებენ შანდორ პეტეფის ქუჩის მიმართულებით.

ზ/ა გათვალისწინებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტებში - დანართი 1-ში, „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების განრიგში - დანართი 2-ში და „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრში - დანართი 3-ში.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243513-03; 16.12.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია)**

**მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434869-03; 13.12.2024):**

**დ.ჯაიანი** - თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გამოიცა განკარგულებები, რომლებიც ითვალისწინებდა შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში შესული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საბურთალოს რაიონში, მდ. დიღმურაზე არსებული ხიდის (გზაგამტარი) კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არამიზანშეწონილია ზ/აღნიშნულ ხიდზე არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთების ტრანსპორტირება; ასევე არ არის მიზანშეწონილი აღნიშნულ ხიდზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და მგზავრთა შეუფერხებელი მომსახურების მიზნით მოთხოვნილი იყო ალტერნატიული მარშრუტის შემუშავება. გამომდინარე აღნიშნულიდან, ხიდზე მოეწყო სიმაღლის შემზღუდველი და მგზავრთა შეუფერხებელი მომსახურების მიზნით პეტრე სარაჯიშვილისა და ვასო გოძიაშვილის ქუჩების კვეთაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მოეწყო გზაჯვარედინი ვასო გოძიაშვილის და პეტრე სარაჯიშვილის ქუჩების კვეთაზე და შეიცვალა საგზაო მოძრაობის ორგანიზება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისთვის, სადაც, ვაშლიჯვრის დასახლებისკენ მოძრაობისას ავტობუსების (M3 კატეგორია) №№327, 389 მარშრუტები მარშალ არჩილ გელოვანის გამზირიდან ნაცვლად დავით

აღმაშენებლის და თეთრი დუქნის ქუჩებისა, მოძრაობას ახორციელებენ პეტრე სარაჯიშვილის ქუჩით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული განცხადებებით, ვარკეთილის დასახლების, ასევე ორთაჭალისა და ქეთევან დედოფლის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ  საბურთალოს და ვაკის მიმართულებით M3 კატეგორიის მარშრუტის ავტობუსებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას, ხოლო საბურთალოს და ვაკის მოსახლეობა ითხოვდა ორთაჭალისა და ქეთევან დედოფლის გამზირის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას. იმის გათვალისწინებით, რომ ა/წ აგვისტოსთვის უკვე შემოყვანილი იყო გარკვეული რაოდენობის შესახსრებული ავტობუსები, დღის წესრიგში დადგა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ავტობუსის (M3 კატეგორია) #310 მარშრუტზე ჩართული იქნა შესახსრებული ავტობუსები, ხოლო #310 მარშრუტიდან გამოთავისუფლებული სატრანსპორტო საშუალებები დაემატა ავტობუსის (M3 კატეგორია) #309 მარშრუტს და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა ილია ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით, ილია ჭავჭავაძის გამზირი #55-ის მიმდებარედ (ნუგზარ ენდელაძის მოედანი). ორივე შემთხვევაში, გამოყენებული იქნა შესახსრებული ავტობუსებისთვის წინასწარ დადგენილი დერეფნები, სადაც გათვალისწინებულია 18 მეტრიანი ავტობუსების მოძრაობა.

სამარშრუტო სქემა გადალაგდა ძველი და ახალი ნომრების მიმდევრობით და მარშრუტის ორივე მიმართულებას მიეთითა შესაბამისი ნომრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი (12-032434869-03; 13.12.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე